

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N23

ქ.ლანჩხუთი

28.12. 2016 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქცია, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქცია, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე, საკრებულოს ფრაქცია, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქცია, „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია, „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთი-ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატი ნინო წილოსანი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა ურუშაძე, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ნუგზარ ცინცაძე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე მიესალმა ლანჩხუთი - ჩოხატაურის მაჟორიტარ დეპუტატს, ნინო წილოსანს და აღნიშნა, რომ მოქმედი საკრებულოს მუშაობის პერიოდში სხდომას პირველად ესწრება საქართველოს პარლამენტის წევრი, რაც უდავოდ აღსანიშნავი და მისასალმებელია. საკრებულოს თავმჯდომარემ დარბაზში მყოფ ყველა პიროვნებას, მუნიციპალიტეტის მოსახლეობას წინასწარ მიულოცა დამდეგი შობა-ახალ წელი და წარმატებები უსურვა. აგრეთვე, საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარეს, ემზარ თევდორაძეს მიულოცა ვაჟის დაბადება, რასაც დამსწრე საზოგადოებაც შეუერთდა. ამის შემდეგ, მან განმარტა, რომ საკრებულოს ბიუროს მიერ განსაზღვრულ დღის წესრიგს უნდა დაემატოს ერთი საკითხი: „სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან სესხის აღების თაობაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების დამტკიცების თაობაზე“.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი დამატებულ საკითხთან ერთად:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: რ.ლაშხია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: რ.ლაშხია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ფაცურია/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: გ.ფაცურია/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე/

11. „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლისათვის სამშობლოს დაცვისათვის დაღუპული გიორგი ლომაძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ნოემბრის N76 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე/

12. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2017 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: ლ. ჩხაიძე/

13. სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან სესხის აღების თაობაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: რ. ლაშხია/

14. სხვადასხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე: 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

საქართველოს პარლამენტის წევრი, **ნინო წილოსანი** მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან აღნიშნა, მოხარულია, რომ მათი შეხვედრა ხდება მუშა გარემოში. 2017 წელი იწყება დიდი ვნებათაღელვით. საკრებულოს წევრები არიან ის ადამიანები, რომლებმაც ყველაზე მეტად უნდა გაანალიზონ პარლამენტის და მთავრობის მიერ გატარებული რეფორმები. ოპტიმიზაცია, რომელიც სავალდებულო გახდა, თითოეულ მათგანს ძალიან აელევებს. ბევრი პრობლემაა, როგორც ქვეყანაში, ასევე მუნიციპალიტეტის დონეზე, მაგრამ აუცილებლად გამოიღებს შედეგს ხელისუფლების მიზანმიმართული და დაუცხრომელი შრომა. დეპუტატები მოსახლეობას უნდა დაუდგინონ გვერდით და ერთად გადალახონ რთული პერიოდი, რათა ხვალინდელი დღე უფრო უკეთესი იყოს. პარლამენტის წევრმა დარბაზში მყოფთ წინასწარ მიულოცა დამდეგი შობა - ახალი წელი. უსურვა მათ წინსვლა და შემდგომი წარმატებები.

დეპუტატმა **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ მისი ცნობით იმ პროექტში, რომელიც გრიგოლეთში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობას ეხება, ჩართულია არა ნავთობისა და გაზის კორპორაცია, არამედ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ეს პროექტი ძალიან

მნიშვნელოვანია რეგიონისთვის. მისი თქმით, პარლამენტის სხდომაზე ყველა დიდ პროექტზე იყო საუბარი, გარდა აღნიშნულისა. იქნებ პარლამენტის წევრმა გაარკვიოს, ხორციელდება თუ არა ეს პროექტი რეგიონში და ვინ იქნება მისი შემსრულებელი.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** განმარტა, რომ მიწის ნიმუშებთან დაკავშირებით მოსულია დადებითი დასკვნა. განხორციელდება დაახლოებით მილიარდნახევარი ლარის ღირებულების პროექტი, რომელიც მოიცავს 25 - 30 ჰექტარ ფართობს. ინვესტორთან ყველანაირი შეთანხმება მიღწეულია. სამუშაოები, სავარაუდოდ, გაზაფხულზე დაიწყება.

დეპუტატი **თეიმურაზ ალექსაია** დაინტერესდა, თუ რა მდგომარეობაა ნიგოთის თემში გაზიფიცირების პროექტთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** განმარტა, რომ 2016 წელს არ იყო გათვალისწინებული აღნიშნული გაზსადენის პროექტირება, მაგრამ დამატებით იქნა ჩასმული გეგმაში. 20 იანვრისთვის ჩაბარდება დასრულებული პროექტი. შესაბამისად, 2017 წლიდან დაიწყება მისი განხორციელება.

პარლამენტის წევრმა, **ნინო წილოსანმა** საკრებულოს წევრებს აღუთქვა, რომ აუცილებლად დაინტერესდება აღნიშნული საკითხებით, გაარკვევს და კონკრეტულ ინფორმაციას მიაწვდის ამასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე გამოყოფილი სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, 2017 -2020 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელება ქალაქის საცხოვრებელი უბნების, ეზოების, დასასვენებელი

პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. აგრეთვე, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა - შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს სოფლის მოსახლეობისთვის წყლის მიწოდების უზრუნველყოფა, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება წყალსადენის შიდა ქსელის მოვლა - შენახვა. სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა; შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; ღია ნაგავსაყრელის პოლიგონის მოვლა, სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნარჩენების დაგვა-დასუფთავება და მისი ოპერატიულად გატანა. მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და მათ ღირსეულ გაგრძელებას. აგრეთვე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი განაგრძობს ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარებას. აგრეთვე, კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

საკრებულოს ფრაქცია, „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე **ჯუმბერ ბლაგიძე** დაინტერესდა, აქვს თუ არა პრიორიტეტების პუნქტობრივად ჩამონათვალში რიგითობას აზრი, რადგან სკოლამდელ განათლებას აქვს უფრო მეტი დაფინანსება.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ ოთხივე პრიორიტეტი მნიშვნელოვანია, მაგრამ ბოლო წლებში თანხობრივი ხვედრითი წილიდან გამომდინარე, ასევე პროექტების დაფინანსების კუთხით პრიორიტეტია ინფრასტრუქტურა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თავის მნიშვნელობას კარგავს სკოლამდელი აღზრდა და განათლება.

სხდომას შემოუერთდა დეპუტატი ელისო ჭიჭინაძე.

დეპუტატმა, **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ ერთ - ერთი პრიორიტეტული საკითხია კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი, მაგრამ ამ კუთხით არის თანხის კლება. **როლანდ ლაშხიას** აზრით, შემცირებული ფინანსები არ ნიშნავს, რომ აღნიშნული საკითხები პრიორიტეტული არ იქნება. მთავარია, გაუმჯობესდეს ხარისხი და თანხები გადანაწილდეს მიზნობრივად. ფინანსები უფრო დახვეწილი და მნიშვნელოვანი პროექტებისკენ უნდა მიიმართოს.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ თავის დროზე დეპუტატების მიერ დამტკიცებულ იქნა გრეიდერის შეძენის საკითხი. დეპუტატი დაინტერესდა, თუ რომელი წლის ბიუჯეტში იქნება პრიორიტეტული ეს საკითხი.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ საკითხი თავისი თანხის მოცულობიდან გამომდინარე, საჭიროებს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი წლის პრიორიტეტში უნდა იქნას გათვალისწინებული. ამასთან, შიდა პროექტები მთლიანად არ არის 2020 წლამდე გაწერილი.

დეპუტატმა, **ელისო ჭიჭინაძემ** განაცხადა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტით ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში უნდა განხორციელებულიყო წყლის მაგისტრალის სარეაბილიტაციო სამუშაოები, მაგრამ ეს საკითხი გარდამავალ პროექტებშიც კი არ არის გათვალისწინებული. დეპუტატმა ამასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა შესაბამის სამსახურს, მაგრამ პასუხი დღემდე ვერ მიიღო.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** განმარტა, რომ დეპუტატების მხრიდან არის წინადადება ქალაქისთვის გათვალისწინებული 700 000 ლარი გადანაწილდეს სოფლებზე. მუნიციპალიტეტი დამატებით მიიღებს დაახლოებით 1 500 000 ლარს, რომლითაც გაკეთდება ჯურუყვეთის, ლესის და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყლის მაგისტრალი. რადგან სოფლის პროგრამები გადატანილ იქნა ინფრასტრუქტურულ პროექტებში, ამიტომ თანხები გადანაწილდება. გამგებელის თქმით, წყალთან დაკავშირებული პრობლემა უახლოეს პერიოდში მოგვარდება.

დეპუტატი **დავით ჩხარტიშვილი** დაინტერესდა, თუ რა პრინციპით და ვისთან შეთანხმებით მოხდება 700 000 ლარის გადანაწილება, რაზეც გამგებელმა განმარტა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღება მაჟორიტარ დეპუტატებთან და სოფლის რწმუნებულებთან შეთანხმების შედეგად.

საკრებულოს ფრაქცია, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარემ, **ნონა მურვანიძემ** განაცხადა, რომ ჯიხეთის მონასტრის პროექტი 2017 წლის ინფრასტრუქტურულ პროექტებში არ არის ასახული. დეპუტატი დაინტერესდა, თუ რა ბედი ეწევა მას.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში ინფრასტრუქტურული კუთხით არაფინანსური აქტივები არც ერთი თეთრით არაა ასახული. გათვალისწინებულია მხოლოდ მიმდინარე წელს გარდამავალ ობიექტებზე აღებული ვალდებულება. ამ საკითხთან დაკავშირებით მიიღება მთავრობის განკარგულება, რომლის შესაბამისად მოხდება კონკრეტულ პროექტებზე თანხების განაწილება .

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ჯიხეთის მონასტერთან დაკავშირებული პროექტის განხორციელება დაიწყება თებერვლის თვიდან.

დეპუტატმა, **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა პრიორიტეტული საკითხები. მისი აზრით, სოფელში ნამდვილად საჭიროა განხორციელდეს ესა თუ ის ინფრასტრუქტურული პროექტი, მაგრამ ქალაქი სავიზიტო ბარათია და აუცილებელია ამ მხრივ

მეტი ყურადღება დაეთმოს. ამასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის გამგებელმა განაცხადა, რომ გასაკეთებელი როგორც სოფელში, ასევე ქალაქშიც ჯერ კიდევ ბევრია. თანხა, რომელიც ასახულია გარდამავალ პროექტებში, მოხმარდება საბავშვო ბაღებს, ქალაქის კეთილმოწყობას, სუფსა - გულიანი - ჩოჩხათის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ამასთან, მუნიციპალიტეტს მთავრობის განკარგულების შედეგად 10-15 იანვრისთვის დამატებით გამოეყოფა დაახლოებით 1 300 000 ლარი.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე: 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 4 დეპუტატი (დარეჯან ბურჭულაძე, გიორგი გოგუაძე, კახაბერ ასკურავა, ამირან ქანთარია)

მიღებულ იქნა განკარგულება N 80 (28.12. 2016 წელი).

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომა გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო შესწორებული ვარიანტი, რომელიც საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების მიერ საფუძვლიანად იქნა დახვეწილი და გადამუშავებული. ბიუჯეტის პროექტის **პირველ მუხლში** წარმოდგენილია ბალანსი, რომელშიც შემოსავლები განსაზღვრულია 7 917 900 ლარით, გადასახადები - 1 550 000 ლარით. გრანტები, რომლებიც გამოყოფილია ცენტრალური სახელმწიფო ბიუჯეტიდან, განსაზღვრულია 5 574 200 ლარით, სხვა შემოსავლები - 793 700 ლარით. შესაბამისად, ბალანსში გაწერილია ხარჯები, რომლებიც განსაზღვრულია 7 658 200 ლარით. აქედან, შრომის ანაზღაურება განსაზღვრულია 1 682 300 ლარით, საქონელი და მომსახურება - 735 000 ლარით, სუბსიდიები - 4 924 900 ლარით, სოციალური უზრუნველყოფა - 304 000 ლარით. სხვა ხარჯები წარმოდგენილია 12 000 ლარით, საოპერაციო სალდო - 259 700 ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება არის 49 700 ლარი, ზრდის კუთხით - 182 000 ლარი, ხოლო კლება - 132 500 ლარით. მთლიანი სალდო განსაზღვრულია 210 000 ლარის ოდენობით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** თხოვნით მიმართა დეპუტატებს, რომ როლანდ ლაშხიას მიერ სრულად იქნას წარმოდგენილი 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი, ხოლო კენჭისყრის პროცესი განხორციელდეს მუხლობრივად, რაზეც დეპუტატებმა თანხმობა განაცხადეს.

დეპუტატი **კახაბერ ასკურავა** დაინტერესდა, მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან რა რაოდენობის თანხა მიმართული გამგეობის, საკრებულოს და ა(ა)იპ - ების სახელფასო ფონდში და პროცენტულად როგორია ეს მაჩვენებელი.

როლანდ ლაშხიამ განმარტა, რომ შრომის ანაზღაურება განსაზღვრულია 1 682 300 ლარით, ხოლო დაახლოებით 2 000 000 ლარი შეადგენს ა(ა)იპ - ების სახელფასო ხარჯს, მაგრამ ეს არის სუბსიდიის მუხლიდან, რომელიც განსაზღვრულია 4 924 900 ლარით. შტატგარეშე თანამშრომლების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაახლოებით 22%-ს შეადგენს საკრებულოს, გამგეობისა და გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის თანამშრომლების შრომის ანაზღაურებების თანხა. მთლიანობაში საერთო სახელფასო ფონდი პროცენტულად შეადგენს ბიუჯეტის 55 % -ს. ამასთან, საკრებულოს მიერ ბიუჯეტის პროექტის

დამტკიცების შემდეგ ა(ა)იპ - ებში მოსალოდნელია შიგა ცვლილებები, წარმოდგენილი ასიგნების ფარგლებში მათ მიერ მოხდება დისბალანსის მოწესრიგება.

დეპუტატმა, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ ამ მოწვევის საკრებულოს მიერ დამტკიცებული არც ერთი ბიუჯეტისთვის არ დაუჭერია მხარი და ამას არ ნანობს. ფრაქციის წევრები, შესაბამისად, არც 2017 წლის ბიუჯეტის პროექტისთვის არ აპირებენ ხმის მიცემას, რადგან იგი არ არის პროგრამული. ამასთან, გასარკვევია, რამდენად მიჰყვება პროექტი მთავრობის გეგმას. პრაქტიკულად, ბიუჯეტში გაწერილი პრიორიტეტები რჩება ისევ პრიორიტეტებად და ამ მხრივ არანაირი სიახლე არ არის. დეპუტატის აზრით, აუცილებელად მოსალოდნელია ხარჯების შემცირება.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ფრაქცია, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** აღნიშნა, რომ **მე-2 მუხლში** წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება. შემოსულობები მოიცავს 8 050 400 ლარს. აქედან, შემოსავლები განსაზღვრულია 7 917 900 ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 132 500 ლარით. გადასახდელები მოიცავს 7 840 400 ლარს. აქედან, ხარჯები განსაზღვრულია 7 658 200 ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა - 182 200 ლარით.

მე -3 მუხლში წარმოდგენილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები, რომელიც განისაზღვრება 7 917 700 ლარით. აქედან გადასახდელები - 1 550 000 ლარით, გრანტები- 5 574 200 ლარით, სხვა შემოსავლები - 793 700 ლარით.

მე-4 მუხლში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები, რომელიც განისაზღვრება 1 550 000 ლარის ოდენობით. აქედან, საშემოსავლო გადასახადები - 550 000 ლარით, ქონების გადასახადი - 1 000 000 ლარით. ასევე წარმოდგენილია გადასახადი სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 90 000 ლარით, ხოლო არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 500 000 ლარით.

მე -5 მუხლში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები, რომელიც განისაზღვრება 5 574 200 ლარის ოდენობით. აქედან, გათანაბრებითი ტრანსფერი - 5 354 200 ლარით, ხოლო მიზნობრივი ტრანსფერი - 220 000 ლარით. რაც შეეხება სპეცტრანსფერებს, ისინი ამ ეტაპზე გათვალისწინებული არ არის.

მე -6 მუხლში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები, რომელიც განსაზღვრულია 793 700 ლარის ოდენობით. აქედან, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის - 100 000 ლარით, შემოსავალი იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან - 20 000 ლარით, მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვისთვის - 10 000 ლარით, საქონლის და მომსახურების რეალიზაცია 13 700 ლარით, ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები - 13 700 ლარით, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის - 13 700 ლარით, ჯარიმები, სანქციები და საურავები - 650 000 ლარით.

მე -7 მუხლში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, რომელიც განისაზღვრება 77 658 200 ლარის ოდენობით. აქედან, შრომის ანაზღაურება - 1 682 300 ლარით, საქონელი და მომსახურება - 735 000 ლარით, სუბსიდიები - 4 924 900 ლარით, სოციალური უზრუნველყოფა - 304 000 ლარით, სხვა ხარჯები - 12 000 ლარით.

მე-8 მუხლში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება. მათ შორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრება 182200 ლარის ოდენობით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 132500 ლარის ოდენობით.

მე-9 მუხლში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია. მათ შორის, საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება განისაზღვრება 2 356 800 ლარით, აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა - 2 326 800 ლარით, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა - 30 000 ლარით, თავდაცვა - 97 500 ლარით, ეკონომიკური საქმიანობა 334 400 ლარით, გარემოს დაცვა - 520 000 ლარით, საბინაო კომუნალური მეურნეობა - 590 000 ლარით, ჯანმრთელობის დაცვა - 117 000 ლარით. დასვენება, კულტურა და რელიგია განსაზღვრულია 1 698 500 ლარით, განათლება - 2 004 000 ლარით, სოციალური დაცვა - 429 400 ლარით, სულ - 8 147 600 ლარი.

მე-10 მუხლში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი, რომელიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნა და განისაზღვრება 30000 ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდიდან თანხებს გამგებლის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს საფინანსო ორგანო.

მე-11 მუხლში წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი:

1. დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 220000 ლარი მიიძღვრება:

ა) „ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 97800 ლარი.

ბ) „ სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 117000 ლარი.

გ) „ სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 5200 ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მე-12 მუხლში წარმოდგენილია მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა.

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მე-13 მუხლში განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები.

მე-14 მუხლში განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ ფრაქციათა კოალიციის სხდომაზე მოწვეულ იქნა ა(ა)იპ - ების ხელმძღვანელები, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშია, მუნიციპალიტეტის გამგებელი. სხდომას აგრეთვე ესწრებოდა საკრებულოს თავმჯდომარე. საკრებულოს წევრებს ბიუჯეტის პროექტში წარმოდგენილ სარეზერვო ფონდთან დაკავშირებით ჰქონდათ გარკვეული შენიშვნები, რადგან მაჟორიტარი დეპუტატები ხშირ შემთხვევებში აწყდებიან რიგ წინააღმდეგობებს. ყველა სოფელში არის პრობლემა, რომელიც საჭიროებს დროულ და სწრაფ რეაგირებას, მაგრამ მის მოსაგვარებლად არ უნდა ხდებოდეს საჭირო მთავრობის ან საკრებულოს სხდომების მოწვევა. სწორედ ასეთი პრობლემების მოსაგვარებლად არის ბიუჯეტში გათვალისწინებული სარეზერვო ფონდი. აქედან გამომდინარე, დეპუტატებმა მოითხოვეს მისი თანხობრივი მატება, რაც წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია. ასევე, ფრაქციათა კოალიციის მიერ შემოტანილ იქნა ინიციატივა ხენა - თესვის პროცესთან დაკავშირებით, რასაც აღმასრულებელი ხელისუფლებაც დაეთანხმა. მათი მხრიდან არის დაპირება, რომ 1 მარტამდე ეს საკითხი მოგვარებულ იქნება. როგორც ცნობილია, საყანე ფართობების დამუშავების საფასური გაძვირებულია, რაც ტვირთად აწევს მოსახლეობას. წარმოდგენილი ინიციატივის მიხედვით შეიქმნება დიდი ამხანაგობა. სარემონტო სამუშაოებისთვის გამოყოფილი იქნება გარკვეული თანხა. ტრაქტორის დაზიანების შემთხვევაში შესაბამის ა(ა)იპ -ის დაევალება, რომ უზრუნველყოს მისი დროული შეკეთება. დაახლოებით 1 მარტისთვის ტრაქტორები იქნება მუშა მდგომარეობაში, რათა აგრო ვადებში მოხდეს ხენა - თესვის პროცესის დაწყება. ამასთან, დაწესდება გარკვეული ზღვარი საფასურთან მიმართებაში, რაც გამოიწვევს პროცესის 2-3 ლარით გაიაფებას. ეს კი უდავოდ შეღავათი იქნება ადგილობრივი მოსახლეობისთვის. კიდევ ერთი ინიციატივა, რომელიც შემოტანილ იქნა ფრაქციათა კოალიციის მიერ, შეეხება მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების თანადაფინანსების მუხლის ზრდას. ამასთან დაკავშირებით აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან არის დაპირება, რომ იანვრის თვეში ბიუჯეტში ცვლილების განხორციელებისას გათვალისწინებული იქნება აღნიშნული საკითხი. დეპუტატ, **გიორგი ჩახვაძის** აზრით, ბოლო 3 წლის განმავლობაში დამტკიცებული ბიუჯეტის პროექტებიდან, 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის შემოსავლით ნაწილს აქვს ყველაზე რეალური მაჩვენებელი. მასში გათვალისწინებულია, როგორც ფინანსთა სამინისტროს, ასევე დეპუტატების მიერ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები. ფრაქციათა კოალიცია მხარს უჭერს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტს, მიუხედავად იმისა, რომ ხარჯვით ნაწილში შეიძლება მოხდეს გარკვეული ცვლილებები.

დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტი განსახილველად უნდა შემოქონდეს მუნიციპალიტეტის გამგებელს. საკრებულოს წევრმა უშუალოდ მას მიმართა კითხვით - რას ნიშნავს ბიუჯეტის პროექტში ჩანაწერი: წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა. დეპუტატმა აღნიშნა, რომ თავის დროზე გამგებელმა მიიღო არასწორი გადაწყვეტილება და უმრავლესობასთან ერთად აიძულა საკრებულოს თავმჯდომარე შეეცვალა წინა მოწვევის საკრებულოს მიერ მიღებული ბრძანება. ამ საკითხთან დაკავშირებით გამგეობამ მიიღო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფურცელი, რომლის მიხედვითაც, მუნიციპალიტეტი ვალდებულია საკუთარი ბიუჯეტიდან გაისტუმროს წინა მოწვევის საკრებულოს ფინანსური დავალიანება პრემიებთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ მითითებულ მუხლში გათვალისწინებულია 150 000 ლარი. აქედან, 80 000 ლარი წარმოადგენს საფეხბურო კლუბ

„ლანჩუთის გურია“-ს მიერ 2011 წელს სს საქართველოს ბანკიდან აღებული სასესხო ვალდებულების გასასტუმრებელ თანხას. რაც შეეხება, სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, მისთვის გაუგებარია, თუ რომელ აღსრულების ფურცელზეა საუბარი, რაზეც დეპუტატმა რომან ბიწაძემ განაცხადა, რომ ზაზა ურუშაძის რეზოლუციით გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსს, შოთა ჩაგუნავას მაგიდაზე უდევს სააპელაციო სასამართლოს აღსრულების ფურცელი. მან მოითხოვა შოთა ჩაგუნავასგან განმარტება, შეესაბამება თუ არა ეს ინფორმაცია სიმართლეს.

გამგებელმა განაცხადა, რომ 2014 წელში ის მონაწილეობდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში და არ იმყოფებოდა მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე. აქედან გამომდინარე, ამ პროცესებში მონაწილეობა არ მიუღია.

დეპუტატ, **გიორგი გოგუაძის** აზრით, როგორც ყოველთვის, გამგებლის მიერ სხვაზე ხდება ფაქტების გადაბრალება. მის მიერ მიღებული არასწორი გადაწყვეტილებების შედეგად ბიუჯეტმა უნდა იზარალოს. ამასთან, მან აღნიშნა, რომ 7 000 000 მილიონი ლარიდან უნდა გამოძებნილიყო გარკვეული თანხა, რომლითაც საფეხბურთო კლუბი გაისტუმრებდა ბანკის ვალს. დეპუტატი ასევე შეეხო მუნიციპალიტეტის გამგებლის ყოფილი მოადგილის, ვახტანგ ზენაიშვილთან დაკავშირებულ საკითხს. სასამართლომ მის სასარგებლოდ მიიღო გამამართლებელი გადაწყვეტილება. რაზეც მუნიციპალიტეტის გამგებელმა უპასუხა, რომ დეპუტატი საფუძვლიანად უნდა გაეცნოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთოს კონკრეტული განცხადება.

დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ -ების მხრიდან თანხების გამოყოფასთან დაკავშირებით შემოსული იყო გარკვეული მოთხოვნები, რომელთაგან არც ერთი არ არის გათვალისწინებული წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში. ა(ა)იპ „ლანჩუთი-სერვისი“ ითხოვდა 2 163 000 ლარით დაფინანსებას, მაგრამ დაუმტკიცდა მხოლოდ 520 000 ლარი. საკრებულოს წევრის ინფორმაციით, მუნიციპალიტეტს აღარ ექნება ნაგავსაყრელი. დეპუტატის აზრით, ეს გარკვეულ წილად კარგია, რადგან ნაგვის გატანა მოხდება სხვაგან, მაგრამ შესაბამისად, გაიზრდება ნაგვის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ხარჯები. ასევე, მან შეახსენა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს, ია ჩხაიძეს კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების თანამშრომლებისთვის მიცემული დაპირება 50 ლარით ხელფასის გაზრდასთან დაკავშირებით, რაც ასევე არ არის გათვალისწინებული წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში. ამასთან, ერთ - ერთი ყველაზე წარმატებული პროგრამა, როგორც იყო სოფლის პროგრამები, მთავრობის მიერ საერთოდ ამოღებულ იქნა ბიუჯეტიდან. ყოველივე აქედან გამომდინარე, დეპუტატის აზრით, 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცება წარმოდგენილი სახით არ შეიძლება.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** განმარტა, რომ ფინანსთა სამინისტოსთან არის შეთანხმება ა(ა)იპ „ლანჩუთი-სერვისისთვის“ დამატებით ტრანსფერის სახით დაახლოებით 100 000 ლარის გამოყოფასთან დაკავშირებით. ამასთან, დასუფთავების სამსახური მიიღებს 2 ახალ ნაგავშიდ მანქანას და 100 ცალ ურნას, რომლებიც გადანაწილდება სოფლებში. მუნიციპალიტეტიდან ნარჩენების ტრანსპორტირება განხორციელდება ადგილობრივი სატრანსპორტო საშუალებებით. გარკვეული ნაწილის გატანა მოხდება სამტრედიის ნაგავსაყრელზე, ნაწილის კი - ფოთის მუნიციპალიტეტში. ამასთან, გამგებელმა აღნიშნა, რომ არსებული პრობლემების სრულად მოსაგვარებლად თანხა არასდროს არ იქნება საკმარისი, მაგრამ ლანჩუთისთვის ყოველთვის გაცილებით მეტი ფინანსების გამოყოფა ხდება, ვიდრე მეზობელი მუნიციპალიტეტებისთვის. აგრეთვე, თებერვლის თვეში დაიწყება ისეთი უზარმაზარი პროექტის განხორციელება, როგორცაა სპორტული ცენტრის მშენებლობა. ეს პროექტი დაფინანსებულია სრულად და მისი ღირებულება შეადგენს დაახლოებით 3 500 000 ლარს. ასევე, დამატებით ნიგოთში, ლესასა და ჩიბათში დაიწყება გაზიფიცირების პროცესი.

დეპუტატმა, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ ქვეყანა ამ მდგომარეობამდე მიიყვანა მთავრობის მიერ გატარებულმა პოპულისტურმა პოლიტიკამ, რაც ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწვება. ამასთან, მან გამოთქვა მოსაზრება, რომ მუნიციპალიტეტში დასუფთავებაზე აუცილებლად უნდა იქნას შემოღებული მოსაკრებელი, რომელზეც დაწესდება მკაცრი კონტროლი. ნარჩენების გატანა დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან, რომელიც მიუხედავად მძიმე სოციალური მდგომარეობისა, უნდა დაიფაროს ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან, რადგან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ამ მხრივ თანხის გამოყოფა ვერ მოხერხდება. როგორც ცნობილია, ა(ა)იპ „ლაჩხუთი-სერვისის“ მომსახურება ვრცელდება მთლიანად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. საჭიროა სწორი მენეჯმენტის განხორციელება, რომ ამ სამსახურმა გააგრძელოს გამართული მუშაობა.

მუნიციპალიტეტის გამგებელი, **ზაზა ურუშაძე** დაეთანხმა დეპუტატ კახაბერ ასკურავას, რომ უნდა დაწესდეს გადასახადი დასუფთავებაზე, მაგრამ თანხის რაოდენობა უნდა იყოს ისეთი, რომ მოსახლეობამ შეძლოს მისი გადახდა. ამასთან, კანონის შესაბამისად, შემოსული თანხა დარჩება სოფელში, რომელიც მასვე მოხმარდება. გამგებელმა ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან დამატებით მოთხოვნილია 50-60 ცალი ურნა, რომლებიც გადანაწილდება სოფლებში. პირველ რიგში, ისინი დაიდგმება საბავშვო ბაღებთან, სკოლებთან და სხვა დაწესებულებებთან.

დეპუტატმა, **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან რელიგიისთვის გათვალისწინებული თანხა შემცირებულია 15 000 ლარით. სამრევლო სკოლის დაფინანსება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ არ ხდება. აქედან გამომდინარე, პედაგოგებს ექმნებათ გარკვეული პრობლემები ხელფასების გაცემასთან დაკავშირებით. ასევე პრობლემებია წარმატებული მოსწავლეების დაჯილდოების მხრივაც, რადგან აღნიშნული სამინისტრო მხოლოდ საჯარო სკოლის წარჩინებულ მოსწავლეებს გადასცემს კომპიუტერებს. სამრევლო სკოლის წარმომადგენლების თხოვნაა, რომ იქნებ იმ თანხიდან, რომელსაც მუნიციპალიტეტი გადასცემს ეპარქიას, მეუფის მიერ სამრევლო სკოლისთვის მოხდეს გარკვეული წილის გამოყოფა. ამასთან, დეპუტატმა აღნიშნა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი 3 227 900 ლარიანი მატებით ერთხმად დაამტკიცა. ამის შესახებ ინფორმაცია გაშუქებულია გაზეთ „გურია ნიუსში“. როგორც ცნობილია, ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს ხარჯების 10 % -იანი შემცირება. საკრებულოს წევრი დაინტერესდა, თუ რა პრინციპით ხორციელდება ეს პროცესი, რადგან ზოგ მუნიციპალიტეტში ბიუჯეტი გაზრდილია, ზოგში კი - პირიქით, შემცირებული.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ სასულიერო გიმნაზიასთან დაკავშირებით პირადად ესაუბრა მეუფეს. 2016 წელში გარკვეული თანხა მოხმარდა სამრევლო სკოლას. მეუფის მხრიდან არის დაპირება, რომ 2017 წლისთვისაც აუცილებლად მოხდება ამ საკითხების გათვალისწინება. ბიუჯეტის 10 % შემცირებასთან დაკავშირებით გამგებელმა განმარტა, რომ არც ერთ მუნიციპალიტეტში ამ კუთხით თანხების მატება არ არის. კონკრეტულად რაც შეეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტს, ფინანსთა სამინისტრომ საკმაოდ სოლიდური თანხა მოაკლო, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში კი თანხების შემცირება ხორციელდება ტრანსფერის მოკლების ხარჯზე.

დეპუტატმა **თეიმურაზ ალექსაიამ** განმარტა, რომ არ აპირებდა სიტყვით გამოსვლას, მაგრამ თავი ვალდებულად ჩათვალა პასუხი გაეცა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების გამოსვლებისთვის. მან გამოითხოვა ინფორმაცია 2010 - 2011 წლებში საჯარო სამსახურებში დასაქმებული თანამშრომლების შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რომლის პროცენტული მაჩვენებელი მაშინდელ ბიუჯეტთან მიმართებაში იყო 65 - 70 %. დეპუტატმა აღნიშნა, რომ საქართველოს მოსახლეობამ უკვე 2 -ჯერ გასცა ნაციონალურ მოძრაობას შესაბამისი პასუხი, მაგრამ მათი მხრიდან მაინც არ აქვს დასასრული დემაგოგიას და ავანტიურას, რადგან ისინი, როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ ხარვეზებს და ცუდ ამბებს ხედავენ.

დეპუტატ თეიმურაზ ალექსაიას გამოსვლას პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მხრიდან ხმაური და მწვავე რეაქცია მოჰყვა, რის შემდეგაც დეპუტატებმა გიორგი გოგუაძემ და კახაბერ ასკურავამ პროტესტის ნიშნად საკრებულოს სხდომა დატოვეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** დეპუტატებს სიმშვიდისა და წესრიგის დაცვისკენ მოუწოდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** თხოვნით მიმართ საკრებულოს თავმჯდომარეს, სხდომაზე გამოცხადებულიყო შესვენება 10 წუთით.

დეპუტატმა **ამირან ქანთარია** უკმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მესამე წელია მას უფლება არ ეძლევა ბიუჯეტის დამტკიცების დროს მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრის პროცესში, რადგან მისი დაწესებულების მიმართ დავალიანება აქვს ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ს. ეს თანხა შეადგენს 1 200 ლარს. მან აღნიშნა, რომ მას შემდეგ ა(ა)იპ -ში შეიცვალა 3 ხელმძღვანელი პირი, მაგრამ სამწუხაროდ არც ერთის მხრიდან არ გამოთქმულა სურვილი აღნიშნული დავალიანების დაფარვასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ მის დაწესებულებას აქვს მწირი შემოსავალი, დეპუტატი მზად არის საკუთარი ჯიბიდან გადაუხადოს ექიმებს ეს თანხა. მიუხედავად ამისა, ის ბიუჯეტთან დაკავშირებულ კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს.

საკრებულოს ფრაქცია, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარემ, **ნონა მურგანიძემ** თხოვნით მიმართა დეპუტატებს, რომ პატივი სცენ განსხვავებულ აზრს და გამოთქმული კრიტიკულ შენიშვნების საპასუხოდ არ გამოხატონ აგრესია. ამასთან, მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით წინა წლებთან შედარებით უფრო მეტი მუშაობა იქნა გაწეული და მეტი ჩართულობა იყო დეპუტატების მხრიდან, ა(ა)იპ -ბიც უფრო მეტად იყვნენ ამ კუთხით მომზადებულები, მაგრამ თავიდანვე გახდა ცნობილი, რომ მთავრობის მხრიდან იყო რეკომენდაციები ბიუჯეტის 10 %-ან კლებასთან დაკავშირებით. გამოდის, რომ გატარებულმა სამუშაოებმა ფუჭად ჩაიარა და ყველა ა(ა)იპ-ი, მიუხედავად მათ მიერ შემოტანილი მოთხოვნებისა, დაეთანხმა საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტს. ა(ა)იპ-ები ქაოსურად არ უნდა იმართებოდეს, ამ კუთხით, საჭიროა მოწესრიგებული მენეჯმენტი. დეპუტატის აზრით, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი გაუმართავია.

დეპუტატმა, **თეიმურაზ ალექსაია** აღნიშნა, რომ მესამე წელია ამ მოწვევის საკრებულოს წევრია და ამ ხნის განმავლობაში არასდროს მიუყენებია ვინმესთვის შეურაცხყოფა და ყოველთვის კონსესუსამდე მიდიოდა. მან ბოდიში მოუხადა საკრებულოს წევრებს და აღნიშნა, რომ აგრესიას იწვევს მხოლოდ პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მხრიდან „მორალის კითხვის“ პოლიტიკა, რადგან სწორედ მათ მიიყვანეს განადგურებამდე ეს ქვეყანა.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ მთავრობის მხრიდან იყო რეკომენდაციები ხარჯების 10%-ან კლებასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შემცირდეს სოციალურ პროგრამებზე და ჯანდაცვაზე მიმართული თანხები. დეპუტატის თქმით, ჩონატაურის მუნიციპალიტეტს, რომელსაც ლანჩხუთზე მცირე ბიუჯეტი აქვს და მოსახლეობის რაოდენობითაც ჩამორჩება მას, ჯანდაცვის კუთხით ერთ სულ მოსახლეზე გაცილებით მეტი თანხა აქვს გამოყოფილი. ამასთან, უფრო მრავალფეროვანი და მეტი რაოდენობის სოციალური პროგრამები აქვს გათვალისწინებული ბიუჯეტში. მისი აზრით, მთავარი თანხების მოძიება კი არა, არამედ მათი მიზნობრივად სწორი განაწილებაა.

საკრებულოს ფრაქცია, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარემ, **ელგუჯა ჩხაიძემ** კითხვით მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებელს - გათვალისწინებულია თუ არა ბიუჯეტში

მინი-სტადიონების კეთილმოწყობის კუთხით რაიმე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რადგან ისინი ლამის ნაგავსაყრელად იქცნენ. ამასთან, არიან ავარიული მდგომარეობაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბავშვების მხრიდან სხეულის ესა თუ ის დაზიანება. რაზეც **ზაზა ურუშაძემ** განმარტა, რომ აღნიშნული მინი - სტადიონები ირიცხებოდნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზე. დახლოებით 2 თვის წინ ისინი გადმოეცა მუნიციპალიტეტს. აქედან გამომდინარე, მომავალი წლის განმავლობაში მათ აუცილებლად ჩაუტარდებათ სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველ ვარიანტზე საფინანსო კომისიას ჰქონდა გარკვეული სახის შენიშვნები, იგი შეაფასა უარყოფითად და დააბრუნა უკან. მეორე ვარიანტთან დაკავშირებით გაიმართა ძალიან ბევრი მსჯელობა, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართულები კომისიები და ფრაქციები გამგებელთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ გათვალისწინებულ იქნა შენიშვნები და რეკომენდაციები, არ მოხდა ბიუჯეტის პროექტის კორექტირება საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, რომლის მიხედვით 2017 წლის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საბიუჯეტო ორგანიზაციებში ადმინისტრაციული/საოპერაციო ხარჯები უნდა შეადგენდეს არაუმეტეს მიმდინარე წლის საკასო შესრულების მაჩვენებლის 90 % -ს. ეს არ ეხება სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებს. დეპუტატმა აღნიშნა, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში დამტკიცებული ბიუჯეტის პროექტებიდან, 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის შემოსავლით ნაწილს აქვს ყველაზე რეალური მაჩვენებელი. მასში გათვალისწინებულია, როგორც ფინანსთა სამინისტროს, ასევე დეპუტატების მიერ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები. სამწუხაროდ, ა(ა)იპ -ების ბიუჯეტების უმეტესი ნაწილი გაწერილია ხელფასებზე. მათ აუცილებლად უნდა განახორციელონ რეორგანიზაცია საშტატო განაკვეთებისა და ხელფასის რანგის მოწესრიგების მიზნით. ამასთან, კონკრეტული წინადადებით უნდა მიემართოს ადგილობრივ აღმასრულებელ ხელისუფლებას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში - მთავრობასაც, რომ საჭიროებიდან გამომდინარე მოხდეს ამა თუ იმ ა(ა)იპ -ის ფინანსური ზრდა, მაგრამ ეს უნდა იყოს დაზუსტებული და დასაბუთებული. როგორც ცნობილია, სახელმწიფოს მიერ წარმატებით განხორციელდა c ჰეპატიტის პროგრამა, მაგრამ მისი კვლევები დაკავშირებულია გარკვეულ თანხებთან, რაც არ იყო გათვალისწინებული პროგრამაში. წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში განსაზღვრულია ასეთი კვლევების თანადაფინანსება. თუ გაიზრდება ბენეფიციარების რაოდენობა, შესაბამისად კონკრეტულ მუხლში მოხდება თანხების ზრდა. რაც შეეხება რელიგიის დაფინანსებას, ეს არის მუნიციპალიტეტის არა ვალდებულება, არამედ მისი მხრიდან კეთილი ნების გამოვლენა. ამ კუთხით დაფინანსების შემცირება არ მომხდარა, არამედ თანხა მიიმართა უფასო სასაბუღალტრო - 90 000 ლარიდან გაიზარდა 100 000 ლარამდე.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტს. **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ეს არის პირველი ბიუჯეტის პროექტი ამ მოწვევის საკრებულოს საქმიანობის პერიოდში, რომელიც კომისიამ დადებითად შეაფასა. დეპუტატის აზრით, 2017 წლის ბიუჯეტი რეალურადაა დაგეგმილი და იმედი გამოთქვა, რომ მოხდება მისი 100 % - ანი შესრულება. მან დამდეგი ახალი წელი მიულოცა დამსწრე საზოგადოებას და უსურვა შემდგომი წარმატებები. ამასთან, მოუწოდა დეპუტატებს მხარი დაუჭირონ მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებას.

საკრებულოს ფრაქცია, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარემ, **ნონა მურვანიძემ** აღნიშნა, რომ ფრაქციის მიერ პროექტის სახით შემოტანილ იქნა ინიციატივა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის გეგმიური ოპერაციების თანადაფინანსების წილის 50 %-ით დაფინანსებასთან დაკავშირებით. მათ მიერ განსაზღვრულ იქნა როგორც ქულების, ასევე თანხის რაოდენობა. ბენეფიციარების თანადაფინანსება უნდა განხორციელებულიყო არა უმეტეს 500 ლარისა. სამწუხაროდ, ფრაქციის მიერ შემოტანილი არც ერთი ინიციატივა არ იქნა გათვალისწინებული და გაშლილი ამ პროგრამებში სოციალური მომსახურების კუთხით. დეპუტატის აზრით, თუ იგი წარმოდგენილი იქნებოდა ერთ-ერთი მთავარი პროგრამის სახით, ნამდვილად სარგებლობას მოუტანდა ადგილობრივ მოსახლეობას და სოციალური პროგრამები უფრო კეთილშობილ სახეს მიიღებდა.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** პირველ რიგში დარბაზში მყოფ ყველა პირს მიულოცა დამდეგი ახალი წელი და უსურვა შემდგომი წარმატებები, რის შემდეგ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დანართში პირდაპირ მითითებულია პროგრამის სახელწოდება - საოპერაციო ხარჯების პროგრამა. მან მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს, ექიმებს, რადგან მათი წინადადების გათვალისწინებით მოხდა ამ ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამის შეტანა დანართში. ფრაქციას წარმოდგენილი ჰქონდა კონკრეტული ქირურგიული ოპერაციის სახეები, მაგრამ ექიმების მოსაზრებების გათვალისწინებით მათ მიეცათ ზოგადი სახე. დეპუტატმა იმედი გამოთქვა, რომ ეს პროგრამა გამართულად და კარგად იმუშავებს.

დეპუტატმა, **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ ინიციატივაზე ფრაქციის წევრების მიერ ერთობლივად მოხდა მუშაობა, ქონდათ ამ საკითხთან დაკავშირებით შეხვედრა მუნიციპალიტეტის გამგებელთან. ისინი შეთანხმდნენ თანხის რაოდენობაზე, მაგრამ სამწუხაროდ, ეს პროგრამა ერთჯერადი დახმარების პროგრამაშია ჩაკარგული. მისი აზრით, კარგი იქნებოდა ინიციატივა წარმოდგენილი ყოფილიყო ცალკე პროგრამის სახით, რადგან უფრო კეთილშობილს გახდიდა ბიუჯეტს სოციალური კუთხით. ამასთან, სამართავად გაცილებით ადვილი და გამჭვირვალე იქნებოდა. დეპუტატის დასკვნით, ამ მოწვევის საკრებულოში ოპოზიციის მიერ გამოტანილი კარგი ინიციატივები არ მოსწონთ და იგნორს უკეთებენ. სად და სასარგებლო იდეას ყველამ უნდა დაუჭიროს მხარი. კამათი და დავა მხოლოდ მოსახლეობის საკეთილდღეო საკითხებზე უნდა მიმდინარეობდეს.

საკრებულოს ფრაქცია, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარემ, **ნონა მურვანიძემ** დატოვა სხდომათა დარბაზი.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** განაცხადა, რომ საკრებულოს მიერ ჯერ მტკიცდება ბიუჯეტი და მერე სოციალური პროგრამები, არადა უნდა ხდებოდეს პირიქით. აქედან გამომდინარე, ეს ინიციატივა ვერ აისახებოდა ცალკე პროგრამად, რადგან ბიუჯეტი მტკიცდება მათ გარეშე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** ფრაქციათა კოალიციის თხოვნის საფუძველზე სხდომაზე გამოაცხადა შესვენება 10 წუთით.

შესვენების გაგრძელების შემდეგ რეგისტრაცია გაიარა 22 დეპუტატმა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ 2017 წლის ბიუჯეტის პროექტს აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. შესაძლებლობიდან გამომდინარე გაკეთდა

მაქსიმუმი, დეპუტატების მიერ გამოითქვა გარკვეული შენიშვნები და რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებით წარმოდგენილ იქნა ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტი. რაც შეეხება სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებით გამოთქმულ შენიშვნებს, გამგებლის თქმით, მასში მოხდება სათანადო შესწორებების შეტანა და პროგრამები ჩამოყალიბდება დეპუტატების მოთხოვნის შესაბამისად. ამასთან, მან დარბაზში მყოფთ საუკეთესო სურვილებით მიულოცა დამდეგი ახალი წელი. ასევე, დეპუტატ ემზარ თევდორაძეს მიულოცა ვაჟის შეძენა და უსურვა ყოველივე კარგი.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ გამგეობის შესაბამისმა სამსახურმა წარმოადგინა გეგმიური ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამა, რომელიც განსაზღვრული იყო 70 000 ლარით. აქედან, სხვადასხვა ქირურგიული ოპერაციებისთვის გამოიყო 60 000 ლარი, ხოლო c-ჰეპატიტის პროგრამით დაუფინანსებელი ნაწილისთვის - 10 000 ლარი. ინიციატივა შემოვიდა ფრაქციიდან „მეტი ქალი პოლიტიკაში“. გამგეობის სამსახურისა და ექიმების ჩართულობის შედეგად საბოლოო სახით ჩამოყალიბდა აღნიშნული პროგრამა, რომელიც შემდგომ მოწონებულ იქნა კომისიის მიერ. დეპუტატმა აღნიშნა, რომ ის მხარს დაუჭერს ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებას, მაგრამ გამგებლის მხრიდან დაპირების შესაბამისად, საბოლოო სახით ცალ - ცალკე უნდა იქნას წარმოდგენილი ეს პროგრამები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრებზე მიდინარეობდა ინტენსიური მუშაობა და მსჯელობა. დეპუტატების მხრიდან გამოითქვა არაერთი შენიშვნა და დაისვა გარკვეული წინადადებები. ყოველივე აქედან გამომდინარე, შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად დაიხვეწა აღნიშნული პროექტი. მან დეპუტატებს მოუწოდა 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის მხარდაჭერისკენ.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები, მოსაზრებები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა ბიუჯეტის პროექტის პირველ მუხლს. მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 2 დეპუტატი (რომან ბიწაძე, დარეჯან ბურჭულაძე).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა ბიუჯეტის პროექტის მეორე მუხლს. მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 2 დეპუტატი (რომან ბიწაძე, დარეჯან ბურჭულაძე).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა ბიუჯეტის პროექტის მესამე მუხლს. მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 2 დეპუტატი (რომან ბიწაძე, დარეჯან ბურჭულაძე).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა ბიუჯეტის პროექტის მეოთხე მუხლს. მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 2 დეპუტატი (რომან ბიწაძე, დარეჯან ბურჭულაძე).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა ბიუჯეტის პროექტის მეხუთე მუხლს. მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 2 დეპუტატი (რომან ბიწაძე, დარეჯან ბურჭულაძე).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა ბიუჯეტის პროექტის მეექვსე მუხლს.

მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 2 დეპუტატი (რომან ბიწაძე, დარეჯან ბურჭულაძე).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა ბიუჯეტის პროექტის მეშვიდე მუხლს.
მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 2 დეპუტატი (რომან ბიწაძე, დარეჯან ბურჭულაძე).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა ბიუჯეტის პროექტის მერვე მუხლს.
მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 2 დეპუტატი (რომან ბიწაძე, დარეჯან ბურჭულაძე).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა ბიუჯეტის პროექტის მეცხრე მუხლს.
მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 2 დეპუტატი (რომან ბიწაძე, დარეჯან ბურჭულაძე).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა ბიუჯეტის პროექტის მეთექვსმეტე მუხლს.
მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 2 დეპუტატი (რომან ბიწაძე, დარეჯან ბურჭულაძე).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა ბიუჯეტის პროექტის მეთერთმეტე მუხლს.
მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 2 დეპუტატი (რომან ბიწაძე, დარეჯან ბურჭულაძე).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა ბიუჯეტის პროექტის მეთორმეტე მუხლს.
მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 2 დეპუტატი (რომან ბიწაძე, დარეჯან ბურჭულაძე).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა ბიუჯეტის პროექტის მეცამეტე მუხლს.
მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 2 დეპუტატი (რომან ბიწაძე, დარეჯან ბურჭულაძე).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა ბიუჯეტის პროექტის მეთოთხმეტე მუხლს.
მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 2 დეპუტატი (რომან ბიწაძე, დარეჯან ბურჭულაძე).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 2 დეპუტატი (დარეჯან ბურჭულაძე, რომან ბიწაძე).

მიღებულ იქნა დადგენილება N 30 (28.12. 2016 წელი).

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ მან აღნიშნა, რომ წინამდებარე წესი არეგულირებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან „სოციალური

დაცვის“ მუხლში გათვალისწინებული სოციალური დახმარებების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარებების დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილ უწყებას, ადგენს სოციალური დახმარების სახეებს, მათი დანიშვნისა და გაცემის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემას ექვემდებარება შემდეგი ფულადი სოციალური დახმარებები:

ა) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა;

ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა;

გ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა;

დ) სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამა;

ე) მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა;

ვ) ცენტრ „იანანას“ თანადაფინანსების პროგრამა;

ზ) ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა;

თ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა;

ი) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა;

კ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა;

ლ) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა მუშუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის.

მ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა.

სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებული პირი წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას დახმარების დანიშვნის ან მიღების თაობაზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

გამგეობაში შემოსული ყველა განცხადება თანდართული დოკუმენტაციითურთ შესასწავლად და სოციალური დახმარების გაცემის საკითხზე დასკვნის მოსამზადებლად ეგზავნება შესაბამის სამსახურს.

გამგეობის შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს სოციალური დახმარების მიღების თაობაზე საკითხის განსახილველად მომზადებასა და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო სხვა პროცედურების განხორციელებას.

კონკრეტული სოციალური პროგრამიდან დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა – განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ცნობა სოციალური სააგენტოდან, რომ არის სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე.

ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა – განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბავშვების დაბადების მოწმობების ასლები, მშობლების ქორწინების მოწმობის ასლი, ერთ-ერთი მშობლის საბანკო ანგარიში და სოციალური სააგენტოდან ქულის ამონაწერი.

გ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა - განცხადება, ცნობა, რომ ბენეფიციარს არ აქვს საცხოვრებელი ფართი, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, განმცხადებლის და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ფართის მეპატრონის საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, ბენეფიციარსა და საცხოვრებელი ფართის მეპატრონეს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულება და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის ბანკის ანგარიში.

დ) სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამა- განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ცნობა სოციალური სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ, ვეტერანობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში.

ე) მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა- მუნიციპალიტეტის გამგებელსა და ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პრორექტორს შორის გაფორმებული შეთანხმების აქტი; პრორექტორის მიერ თანხის ყოველთვიური მოთხოვნა.

ვ) ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა - გახარჯული კომუნალური, ჰიგიენისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების თანხის კალკულაციის წარმოდგენა;

ზ) ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა - განცხადება, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში და პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი.

თ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, დევნილის მოწმობის ასლი და საბანკო ანგარიში.

ი) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა - ბენეფიციარმა ან მისმა ოჯახის წევრმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს: განცხადება; სამკურნალო დაწესებულების ანგარიშ-ფაქტურა და კალკულაცია; განმცხადებლის (პაციენტის) პირადობის მოწმობის ასლი; ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100, დედანი); ცნობა დაზღვევის ფარგლებში დაფინანსების ოდენობის ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ; აქტი, სადაც დასაბუთებული იქნება ოჯახის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა; ანაზღაურება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით, სამედიცინო დაწესებულების შესაბამის

ანგარიშზე, გაწეული სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

კ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა -განცხადება, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ოჯახისათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის ამონაწერი; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა (ასლი) ან ცნობა; ბენეფიციარის საბანკო ანგარიში.

ლ) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის-ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ პროგრამებზე გახარჯული თანხის კალკულაციის წარმოდგენა და საბანკო ანგარიში.

მ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბენეფიციარის საბანკო ანგარიში.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე: 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 81 (28.12. 2016 წელი).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ სამსახურის მიერ მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამების პროექტი. სულ წარმოდგენილია 12 პროგრამა. ეს პროგრამებია:

1. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის მიზანს წარმოდაგენს ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები და რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მოხუცების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დღეში ერთჯერადი კვება უფასო სასადილოში პროგრამით ისარგებლებს 98 ბენეფიციარი;

2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა რაც აუმჯობესებს დემოგრაფიულ მდომარეობას. პროგრამით მიმდინარე წელს სარგებლობს 29 ოჯახი.

3. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები და რეგისტრირებული, ხანძრისა და მწყერისაგან დაზარალებული, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების დახმარება. ბენეფიციარებზე ბინის ქირის გადახდა. პროგრამით მიმდინარე წელს სარგებლობს 33 ბენეფიციარი.

4. სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამა; პროგრამის მიზანია სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარება. პროგრამით ისარგებლებს 60 ბენეფიციარი.

5. მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა. პროგრამის მიზანია მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხელშეწყობა. პროგრამით სარგებლობს ერთი სკოლა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზია. პროგრამა ხელს უწყობს ბავშვების ჯანმრთელობასა და განათლების სრულფასოვნად მიღებას (29 მოსწავლე).

6. ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა; პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ცენტრ იავნანაში დარეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი 24 ბავშვის ფსოქო-სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა. პროგრამა ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ცენტრს დამატებით ესაჭიროება კომუნალური და მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის და გადასახადები, ასევე დაფინანსდება ცენტრისათვის ყოველთვიურად ჰიგიენისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების ღირებულება.

7. ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა. პროგრამის მიზანია თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა ტრანსპორტირების დაფინანსება ჰემოდიალიზის ჩასატარებლად. პროგრამით მიმდინარე წელს სარგებლობს 21 ბენეფიციარი.

8. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია იძულებით გადაადგილებულ პირთა ფინანსური დახმარება. ოჯახები რომლებიც რეგისტრირებული არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ერთჯერადად საშემე მერქნის შესაძენად მიიღებენ ფინანსურ დახმარებას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 64 ოჯახი.

9. სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული მოქალაქეების სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება. გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალურ-ამბულატორიული მომსახურეობა და ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევების სადაზღვევო პროგრამით დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსება.

10. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია ბენეფიციარზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა. ამავე პროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარს დახმარება გაეწევა ავარიულ მდგომარეობაში არსებული და სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მოწესრიგებაში.

11. ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის. პროგრამის მიზანია ძუძუს კბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების რეაბილიტაცია და მხარდაჭერა. განსაკუთრებული მნიშვნელობა

ენიჭება ნაადრევ ეტაპზე კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების მხარდაჭერას მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს სარეაბილიტაციო ვარჯიშების ტრენინგს, ფსიქოლოგიურ ტრენინგს, მონაწილეობას მხარდამჭერ საინფორმაციო -საგანმანათლებლო ღონისძიებებში, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებში.

12. ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა.

პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკის გადაცილებული ხანდაზმულების ერთჯერადად დახმარება. მუნიციპალიტეტში ასეთი სულ 4 ხანდაზმულია.

საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ სუფსის მაცხოვრებელს, ლელა ლეფსაიას აქვს დაახლოებით 58 000 ქულა. ბენეფიციარს საშემე მერქნით ერთჯერადი დახმარების მისაღებად უნდა ჰქონდეს 57 000 ქულა. აქედან გამომდინარე, მოქალაქეს უარი ეთქვა დახმარების გაწევაზე. დეპუტატისთვის ცნობილი გახდა, რომ სოციალურმა სააგენტომ ბენეფიციარებისთვის ქულების რაოდენობა გაზარდა 60 000 - მდე. ის დაინტერესდა, ფლობს თუ არა სამსახურის უფროსი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციას და ამ კუთხით აქვს თუ არა კომუნიკაცია სოციალურ სააგენტოსთან.

დეპუტატ **ელისო ჭიჭინაძის** აზრით, მისასალმებელია, რომ ფრაქციის „მეტი ქალი პოლიტიკაში“ მიერ შემოტანილი ინიციატივა, რომელიც თავის დროზე მხარდაჭერილ იქნა მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ, პროგრამაში წარმოდგენილია ქვეპროგრამის სახით. დეპუტატის თქმით, უფრო კარგი იქნებოდა ამ ინიციატივის ცალკე პროგრამის სახით ასახვა. ყველანაირ ინიციატივას, რომელიც სარგებლობას მოუტანს მოსახლეობას და სოციალურ ფენებზე იქნება მორგებული, მათი მხრიდან უნდა ჰქონდეს მეტი მხარდაჭერა.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ფრაქციის „მეტი ქალი პოლიტიკაში“ მიერ შემოტანილი ინიციატივა არ იყო დაგეგმილი. ამასთან დაკავშირებით შეიკრიბა ექიმების ჯგუფი, რომელთა მუშაობის პროცესში დეპუტატი ელისო ჭიჭინაძე ლეზულობდა მონაწილეობას. მათ დახვეწეს წარმოდგენილი ინიციატივა და საბოლოოდ ჩამოაყალიბეს პროექტის სახით. დეპუტატის აზრით, არ შეიძლება ექიმების ჯგუფის მიერ გაწეული შრომის გაუთვალისწინებლობა.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს

მომხრე: 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N82 (28.12. 2016 წელი).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას

გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების სოციალურ-კულტურულ, სპორტისა და ახალგაზრდულ ღონისძიებათა დაფინანსებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სხვადასხვა პროგრამიდან თანხის გაცემაზე უფლებამოსილ უწყებას, ადგენს ღონისძიებათა დაფინანსების ძირითად მოთხოვნებს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალურ-კულტურული ღონისძიებათა პროგრამებია:

- ა) საჩუქრებისა და პრიზების შეძენის პროგრამა;
- ბ) ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების პროგრამა;
- გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა;
- დ) სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ჩატარების პროგრამა;
- ე) წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების წახალისების პროგრამა;
- ვ) შემოქმედთა წახალისების პროგრამა;
- ზ) ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა;
- თ) კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა;
- ი) სოც-კულტურული ღონისძიებების ორგანიზების პროგრამა;

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამიდან დაფინანსების მისაღებად დაინტერესებული პირი (კონკრეტული ღონისძიების ორგანიზატორი ან სამსახური, ვის მიერაც ხდება სამიზნე ჯგუფის შერჩევა), წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ღონისძიების დაფინანსების თაობაზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ. კონკრეტული ღონისძიების ორგანიზატორის განცხადებას, თან უნდა ახლდეს ჩასატარებელი ღონისძიებების პროგრამა. კონკრეტული ღონისძიების ორგანიზატორის განცხადებას თან უნდა ახლდეს ჩასატარებელი ღონისძიების პროგრამა. სამიზნე ჯგუფის შერჩევა და დაფინანსების მოთხოვნა პროგრამიდან ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურის შუადგომლობით. შესაბამისი სამსახური უზრუნველყოს სოციალურ-კულტურული ღონისძიებათა პროგრამებიდან დაფინანსების მოთხოვნელთა განცხადებების განხილვას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს ფრაქცია, „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე **ჯუმბერ ბლაგიძე** დაინტერესდა, ახალ წელთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტში დაგეგმილია თუ არა რაიმე სოციალურ - კულტურული ღონისძიება, რაზეც თამარ ფირცხალაიშვილმა განმარტა, რომ საახალწლოდ კულტურის ცენტრში გათვალისწინებულია ღონისძიება, რომელზე დასწრება არის თავისუფალი.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს

მომხრე: 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N83 (28.12.2016 წელი).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ სამსახურის მიერ მოზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების პროექტი. სულ წარმოდგენილია 9 პროგრამა. ეს პროგრამებია:

1. საჩუქრებისა და პრიზების შეძენის პროგრამა. პროგრამის მიზანს წარმოდაგენს სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე და სადღესასწაულო დღეებზე ლანჩხუთელი სპორტსმენებისა და ახალგაზრდების წარმატების წახალისება სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით.
2. ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების პროგრამა. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა თანადაფინანსებით.
3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა. პროგრამის მიზანია შ.შ.მ. ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაცია. მათში სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. ნიჭიერი ახალგაზრდების მოტივირება. არაფორმალური განათლების მიღება, სპეციალური გადამზადება და შემეცნებითი აქტივობები.
4. სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ჩატარების პროგრამა. პროგრამის მიზანია მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტში მასობრივი ჩართვა და სასკოლო სპორტის განვითარების ხელშეწყობა, მოზარდ თაობაში და საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.
5. წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისების პროგრამა. პროგრამის მიზანია ყველა წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისება ფულადი დაჯილდოვებით, რაც ხელს შეუწყობს სპორტის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ახალგაზრდა სპორტსმენებში მოტივაციის გაზრდას, იყვნენ წარმატებულები.
6. შემოქმედთა წახალისების პროგრამა. პროგრამის მიზანია სხვადასხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებით ღონისძიებებზე და სადღესასწაულო დღეებზე მოსწავლე-ახალგაზრდებისა და შემოქმედთა წარმატებების წახალისება, მათ შორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გათვალისწინებით მიიღებენ სახელმწიფო 100% გრანტს. ასევე წარმატებული ახალგაზრდების წახალისება ფულადი ჯილდოვებით, სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით.
7. ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია მოქალაქეთა კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებით ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ტრანსპორტირებით ხელშეწყობა.
8. კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა. პროგრამის მიზანია მოქალაქეთა კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა თანადაფინანსების გზით.

9. სოც-კულტურული ღონისძიებების ორგანიზების პროგრამა. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სხვადასხვა ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავი ღონისძიებების გამართვა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სოციალურ-კულტურული ღონისძიებების მუხლში გათვალისწინებულია 25 000 ლარი, რომელიც გათვლილია ორ განყოფილებაზე. აქედან გამომდინარე, ეს ძალიან მცირე თანხაა. მან მიმართა სამსახურის უფროსს, რომ იქნებ მათ წარმოადგინონ დამატებით ახალი პროგრამები. შესაბამისად, საკრებულოს მიერ მოხდება ბიუჯეტში ცვლილება დაფინანსების გაზრდის მიზნით.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ხელამემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს

მომხრე: 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N84 (28.12.2016 წელი).

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწამემ** მიმართა მუნიციპალიტეტს გამგებელს, ზაზა ურუშაძეს და მამათის მაჟორიტარ დეპუტატს, კახა ურუშაძეს, რომ 4 წლის განმავლობაში მის მიერ რამდენჯერმე იქნა დაყენებული საკითხი სოფელ მამათში ედუარდ შევერდნაძის სახლ - მუზეუმის გახსნის შესახებ. ამ თემასთან დაკავშირებით ოჯახი ინფორმირებულია და მათი მხრიდან თანხმობაც მიღებულია. ზაზა ურუშაძემ განაცხადა, რომ ედუარდ შევერდნაძის ოჯახთან რამდენჯერმე იყო ამ საკითხის თაობაზე საუბარი, მაგრამ ისინი რატომღაც თავს იკავებენ. მათი მხრიდან თანხმობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტი მზად არის ასეთი მუზეუმის გასახსნელად.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურამ**. მან აღნიშნა, რომ ცვლილება განპირობებულია „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურისათვის ფუნქციების დამატებით, რაც გულისხმობს თანამშრომლების მიერ დამატებითი სამუშაოს შესრულებას. აღნიშნული საპილოტე პროგრამა ითვალისწინებს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და მუნიციპალიტეტების გამგეობებს შორის ძირეულ თანამშრომლობას. კერძოდ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილ მიწის საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე წამოდგენილ ნაკვეთისა და ფაქტიურ ნაკვეთს შორის იდენტურობის დადგენასა და მიწის ნაკვეთების რეგისტრაციისათვის საჭირო სპეციალური ოქმების მიწოდებას რაც საკმაოდ შრომატევადი და საპასუხისმგებლო სამუშაოა, მოიცავს უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერებასა და მიწის ნაკვეთების რეგისტრაციისათვის

საჭირო სპეციალური ოქმების შევსებას. აქედან გამომდინარე, საჭიროა აღნიშნული სამსახურის ქონების მართვის განყოფილებაში „წამყვანი სპეციალისტი“ შეიცვალოს „მთავარი სპეციალისტით“ და განყოფილების მთავარი სპეციალისტის სამტატო რიცხოვნობა განისაზღვროს 2 (ორი) ერთულით.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს;

მომხრე: 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N31 (28.12.2016 წელი).

დღის წესრიგის მერვე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურია**მ. მან აღნიშნა, რომ 2016 წლის 16 ნოემბერს გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულების თანახმად ა(ა)იპ „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბმა“ პროექტ „მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა საბავშვო ბაღების მენეჯმენტში“, რომელიც ხორციელდება მცირე გრანტების პროგრამის „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“ (RLD) ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისისა (SCO) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADC) დაფინანსებით, დაფინანსებულია გაეროს განვითარების ფონდის (UNDP) მიერ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს საჩუქრად გადასცა ნიგვზიანის და შუხუთის საბავშვო ბაღებისათვის 10 000 ლარის ღირებულების ხანგრძლივი გამოყენების ნივთები (ჩუქების ხელშეკრულება თან ახლავს). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის მოსაზრებაა ზემოთ აღნიშნული ნივთები გადაეცეს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრს“ სარგებლობის უფლებით, ჩუქების ხელშეკრულებით განსაზღვრული ნიგვზიანის და შუხუთის საბავშვო ბაღებისათვის გადასაცემად.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს;

მომხრე: 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 85 (28.12.2016 წელი).

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ**. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს კომისიების მიერ

მომზადდა შესაბამისი სამუშაო გეგმები. საკრებულოს წარმატებული მუშაობის შედეგად წარმოდგენილ იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის სამუშაო გეგმა.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ხელამემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს;

მომხრე: 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N86 (28.12. 2016 წელი).

დღის წესრიგის მეათე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ**.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ხელამემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს;

მომხრე: 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 87 (28.12. 2016 წელი).

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე: „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლისათვის სამშობლოს დაცვისათვის დაღუპული გიორგი ლომაძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ნოემბრის N76 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ**. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში ელექრონულად ატვირთვის პროცესში გაიპარა მცირე ტექნიკური ხარვეზი, რომელიც ამ ეტაპისთვის გამოსწორებულია.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ხელამემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს;

მომხრე: 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N88 (28.12. 2016 წელი).

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრებმა ნონა მურვანიძემ და ელისო ჭიჭინაძემ საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვეს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და

ახალგაზრდულ საქმეთა კომისია. საკრებლოს მიერ კანონის თანახმად უნდა მომზადდეს განკარგულების პროექტი აღნიშნული კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შეტანის თაობაზე. ამასთან, საკრებულომ ცნობად უნდა მიიღოს, რომ საკრებულოს წევრმა ომარ გოგიჩაიშვილმა დატოვა ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“, ხოლო საკრებულოს წევრები რომან ბიწაძე და გიორგი ჩახვადე გაწევრიადნენ ფრაქციაში „დამოუკიდებელი“. ასევე, საკრებულოში შეიქმნა ფრაქციათა კოალიცია 14 კაცის შემადგენლობით, რასთან დაკავშირებითაც ინფორმაცია პრესის საშუალებით გაშუქდა.

დეპუტატი ია ჩხაიძე დაინტერესდა, სამართლებრივი კუთხით რამდენად მიზანშეწონილია საკრებულოს წევრების რომან ბიწაძის და გიორგი ჩახვადის გაწევრიანება ფრაქციაში „დამოუკიდებელი“, რასაც მათი მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა, რის შემდეგ დეპუტატმა რომან ბიწაძემ პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვა.

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2017 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ**. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილია იმ ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხა, რომელიც უნდა განხორციელდეს რეგიონალური განვითარების ფონდის საშუალებით. 750 000 ლარის გადანაწილება იმ ადმინისტრაციულ ერთეულებზე, რომლებიც ამ ნუსხაში გარდამავალი პროექტებით არ არიან ასახულნი.

დეპუტატმა, **თეიმურაზ ალექსაიამ** აღნიშნა, როცა კომისიებზე მიმდინარეობდა აღნიშნული საკითხის განხილვა, მაშინ სამსახურის უფროსმა განუმარტა მას, რომ ნიგოთი ვერ მოხვდებოდა იმ ადმინისტრაციულ ერთეულების ნუსხაში, რომლებზეც გადანაწილდებოდა 750 000 ლარი. მან კითხვით მიმართა ლევან ჩხაიძეს - მოხვდება თუ არა ნიგოთი აღნიშნულ ნუსხაში იანვრის თვეში, რადგან ამ დროისთვის ელოდებიან დამატებით თანხას. ლევან ჩხაიძემ განმარტა, რომ ნიგოთი ამ ნუსხაში უკვე ჩასმულია. ეს არის პირველი ნაწილი. იანვრის ბოლოსთვის დამატებით გამოიყოფა ფინანსები.

მუნიციპალიტეტის გამგებლის, **ზაზა ურუშაძის** თქმით, არა მარტო ნიგოთი, არამედ სხვა სოფლებიც დაემატება ამ ნუსხას. ეს არ ეხება გარდამავალ პროექტებს. დამატებითი თანხები ყველა სოფელში გადანაწილდება. თუ რა პროექტები უნდა განხორციელდეს სოფლებში, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება მოხდება სოფლის რწმუნებულებსა და მაჟორიტარ დეპუტატებთან შეთანხმების შემდეგ.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს;

მომხრე: 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 1 დეპუტატი (დარეჯან ბურჭულაძე)

მიღებულ იქნა განკარგულება N 89 (28.12. 2016 წელი).

დღის წესრიგის მეცამეტე საკითხზე: სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან სესხის აღების თაობაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხაიამ**. მან აღნიშნა, რომ სსიპ საქართველოს მუნიციპალური

განვითარების ფონდის მიერ შემოსულია სასესხო ხელშეკრულების პროექტი მუნიციპალიტეტისათვის კომპაქტორიანი ნაგავშიდი მანქანების და ნარჩენების კონტეინერების შექმნაზე. ხელშეკრულების პირობების თანახმად სესხის თანხაა 170 846 ევრო, სესხის ხანგრძლივობა 10 წელი, საშევადათო პერიოდია 2019 წლის 28 ოქტომბრამდე, სესხის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 1,5%, სესხის გაცემის საკომისიო 1%, აუთვისებელი სესხის ძირის ვალდებულება 0,5%. ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს წელიწადში ორჯერ - 28 ოქტომბერს და 28 აპრილს. ანგარიშსწორება იწარმოება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) გადახდის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული ლარის მიმართ ევროს ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-100 მუხლის მე-2 მუხლის თანახმად, გასული 3 საბიუჯეტო წლის საკუთარი შემოსავლების საშუალო წლიური 10 % შეადგენს 789 017 ლარს.

დეპუტატ აკაკი იმნაიშვილის აზრით, ეს პროექტი მისასალმებელია. ამასთან, ის დაინტერესდა, შესაძლებელია თუ არა ამ სესხის თანხით შექმნილ იქნას გრეიდერი, რადგან ეს საკითხიც არანაკლებ მნიშვნელოვანია. მით უმეტეს, რომ მერამდენე წელია მიდის ამ თემაზე საუბარი. ამასთან, კომერციული თვალსაზრისით მომგებიანია, რადგან დაახლოებით 10 წლის განმავლობაში ეს ტექნიკა ამ თანხას აანაზღაურებს.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ეს საკითხი თითქმის მოგვარებული იყო, მაგრამ შემდეგ მისი განხორციელება გარკვეული მიზეზების გამო შეფერხდა. რეგიონალური ფონდი მუნიციპალიტეტში აშენებს სპორტულ ცენტრს, ასევე აცანის საბავშვო ბაღისთვის გამოყოფს დაახლოებით 100 000 ლარს, ამ ეტაპზე კიდევ გრეიდერის შექმნის მოთხოვნა ვერ მოხერხდება.

დეპუტატ **თეიმურაზ მარშანიშვილის** თქმით, კომისიის სხდომაზე მოწვეულმა დასუფთავების სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ნაგავშიდი მანქანები ცუდი გზების გამო ყველა უბანს ვერ მოემსახურება, არადა ღრმალეუმი 2 კილომეტრიანი გზის მონაკვეთი ავარიულ მდგომარეობაშია. გამგებელმა განმარტა, რომ შექმნილი იქნება 7 და 16 კუბიანი ნაგავშიდი მანქანები. მცირე ზომის მანქანა დაუბრკოლებლად გადაადგილდება ყველა უბანზე. მან თხოვნით მიმართა დეპუტატებს, რომ შემოსული თანხები მაქსიმალურად მიიმართოს სოფლებში ბეტონის გზის დასაგებად. თეიმურაზ მარშანიშვილის აზრით, გზის გაკეთება კარგია, მაგრამ ღრმალეუმი ასევე მოსაგვარებელია წყლის პრობლემამ.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** განაცხადა, რომ ნინოშვილიდან არჩეულისკენ მიმავალ გზაზე საშინელი მდგომარეობაა და გადაადგილება თითქმის შეუძლებელია.

საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ მთავრობასთან შეთანხმებით სავარაუდოდ სანაპირო ზოლის დასუფთავებისთვის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყოფა თანხა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ გურიის რეგიონს გადაეცა ტექნიკა სანაპირო ზოლის დასასუფთავებლად. ხანდახან საჭირო ხდებოდა დამატებით ტრაქტორების დაქირავება. იქნებ ამ სესხის საშუალებით 2019 ან 2020 წლამდე მოხერხდეს დამატებით ტექნიკის შექმნა.

მუნიციპალიტეტის გამგებლის, **ზაზა ურუშაძის** თქმით, რეგიონალური განვითარების ფონდმა შეიძინა აღნიშნული ტექნიკა, რომელიც დისლოცირებულია ოზურგეთში. 4 -ჯერ გაიწმინდა სანაპირო ზოლი, მაგრამ მუნიციპალიტეტს თანხა არ გადაუხდია, რადგან ეს ტექნიკა გურიის რეგიონს ეკუთვნის. შეიძლება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი ხარჯებთან დაკავშირებით შევიდეს თანადაფინანსებით. ამიტომ ხდება თანხების დამატებით მოთხოვნა, რომ მოხმარდეს ამ ტექნიკას და დასუფთავდეს სანაპირო ზოლი.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს;

მომხრე: 19 დეპუტატი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N90 (28.12.2016 წელი).

სხვადასხვა:

დეპუტატ, **დარჯან ბურჭულაძის** თქმით, ის არასდროს უკარგავს ადამიანს გაკეთებულ კარგ საქმეს, ამასთან, შეუძლია კრიტიკაც გამოთქვას და ამასვე მოითხოვს სხვებისგან. დეპუტატ ია ჩხაძის განცხადებით, ეს ინიციატივა ექიმების გაკეთებულია, არადა ყველასთვის ცნობილია, რომ პროექტი შეიმუშავა ფრაქციამ „მეტი ქალი პოლიტიკაში“. იგი მოწონებულ იქნა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ, რის შემდეგაც შეიკრიბა ექიმების ჯგუფი და მოხდა ამ საკითხის განხილვა. პროცედურულად ეს ასე წარიმართა. დეპუტატმა კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება, რომ ეს იყო ფრაქციის მიერ ინიცირებული, ამის შემდეგ კი - კომისიის, ექიმების და მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ მოწონებული.

დეპუტატმა, **ელისო ჭიჭინაძემ** კოლეგებს მიულოცა დამდეგი ახალი წელი. ამის შემდეგ გააკეთა ახსნა- განმარტება საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიიდან გასვლის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება უცებ არ მიუღია, არამედ კომისიის შემადგენლობაში მუშაობის პერიოდში მას ჰქონდა გარკვეული წინაპირობები. გადამწყვეტი როლი ითამაშა წინა საკრებულოს სხდომაზე განვითარებულმა მოვლენებმა. კეროდ, კომისიის თავმჯდომარემ, ია ჩხაიძემ მას სრულიად დაუმსახურებლად კოლეგების თვალწინ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. დეპუტატმა განაცხადა, რომ საკრებულოს თავმჯდომარეს არ უნდა მოეხადა მისთვის ბოდიში, რადგან მას ამ ინციდენტთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა და შესაბამისად ამის ვალდებული არ იყო. აქვე აღნიშნა, რომ კომისიის სხდომაზე ადგილი ჰქონდა ექიმებს შორის დაპირისპირების მცდელობას. პროექტი ნამდვილად ფრაქციის მიერ იქნა შემოტანილი, რომელსაც მხარი დაუჭირა ყველა კოლეგამ. მაგრამ კომისიის თავმჯდომარე, ია ჩხაიძე ცდილობდა, ეს პროექტი წარმოჩენილიყო მისი კომისიის სახელით. დეპუტატმა, **ელისო ჭიჭინაძემ** კომისიის თავმჯდომარე, ია ჩხაიძისგან მოითხოვა ბოდიშის მოხდა წინა სხდომაზე დაუმსახურებელი შეურაცხყოფის მიყენებისთვის. ამასთან, მან მადლობა გადაუხადა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრებს სამი წლის განმავლობაში ერთობლივი მუშაობისთვის.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვამემ** კოლეგებს გაცხარებისთვის ბოდიში მოუხადა. ამასთან, აღნიშნა, რომ საკრებულოში სამწლიანი საქმიანობის განმავლობაში არც ერთი დეპუტატისთვის პირადი შეურაცხყოფა არ მიუყენებია. მისი აზრით, დეპუტატმა ია ჩხაიძემ და ასევე სხვა დეპუტატებმა, რომლებიც გადადიან პირად შეურაცხყოფაზე, აუცილებლად უნდა მოიხადონ ბოდიში, რადგან საკრებულო არის კოლეგიალური ორგანო. საკრებულოს წევრებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული აზრი საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ ეს უნდა შეეხებოდეს მხოლოდ საქმეს. ამის შემდეგ, დეპუტატმა აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით, შესაბამის ორგანოში დაბარებული იყო მუნიციპალიტეტის სატყეო სამსახურის უფროსი ლანჩხუთის სატყეო უბნის გაუქმებასთან დაკავშირებით. გიორგი ჩახვამემ თხოვნით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ აღნიშნული საკითხის განხილვას იქნებ დაესწროს ლანჩხუთი - ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატი, ნინო წილოსანი, რადგან ეს ძალიან მტკივნეული და მნიშვნელოვანი თემაა მუნიციპალიტეტისთვის.

დეპუტატის თქმით, თუ მოხდება სატყეო უბნის გაუქმება, მაშინ სატყეო კოდექსის თანახმად, რომელიც ძალაში შედის 2017 წლიდან, ყურადღება უნდა გამახვილდეს მუნიციპალურ ტყეებზე. გურიის სამი რეგიონიდან, ჩოხატაურისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებზე გაცილებით მეტი რესურსი და ათვისება აქვს ლანჩხუთს. მან მოუწოდა ამ პრობლემის მოგვარებაში აქტიურად მიიღონ მონაწილეობა დეპუტატებმა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ და ყველა იმ ადამიანმა, ვისაც გათვითცნობიერებული აქვს, თუ რა მოყვება ამ ნაბიჯს. აუცილებლად უნდა შეიქმნას მუნიციპალური ტყეები, რომელსაც დასჭირდება შესაბამისი მმართველი ორგანო.

მუნიციპალიტეტს გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ეს ღონისძიება ხორციელდება საქართველოს მასშტაბით და სატყეო უბნის გაუქმება მხოლოდ ლანჩხუთში არ იგეგმება. გურიის რეგიონის მიხედვით, ადგილობრივ მუნიციპალიტეტში ყველაზე მეტი ტყე - კაფია. ეს თემა ნამდვილად გასააქტიურებელია. ამიტომ, ახალი წლის შემდეგ შეიქმნება მუშა ჯგუფი, რომელიც რეალურად აღრიცხავს, თუ რა რაოდენობის ტყეა მუნიციპალური, რამდენია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზე და რამდენია ისეთი ტერიტორია, რომელიც არავის დაქვემდებარებაში არ არის. თავის მხრივ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო არ არის წინააღმდეგი ჩატარდეს ასეთი აღრიცხვა და შესაბამისად, მუნიციპალიტეტს გადმოეცეს გარკვეული ტერიტორიები. მუნიციპალურ ტყეებთან დაკავშირებით ა(ა)იპ - ის შექმნა პრობლემას არ წარმოადგენს და ეს ადგილობრივი ხელისუფლების გადასაწყვეტია, მაგრამ საკითხი დასაბუთებული და დაზუსტებული სახით მთავრობაშიც უნდა დადგეს, რადგან ა(ა)იპ - ის შექმნა დაკავშირებულია ხარჯებთან, მაგრამ ამასთან, ეს მუნიციპალიტეტს გარკვეულ შემოსავალს მოუტანს. გამგებელი თავის მხრივ, მხარს უჭერს ამ წამოწყებას და მომავალში ერთობლივად უნდა გაგრძელდეს ამ კუთხით აქტიური მუშაობა. მან ასევე აღნიშნა, რომ ლანჩხუთი - ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატი, ნინო წილოსანი საქმის კურსშია აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. გამგებლის თქმით, ექნება შეხვედრები რეგიონალური განვითარების მინისტრთან, ასევე პრემიერ მინისტრის ადმინისტრაციის უფროსთან რეგიონალური განხრით და მათ აუცილებლად გააცნობს საკითხის ირგვლივ არსებულ პრობლემას.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ ეთანხმება გიორგი ჩახვამეს, რადგან პარლამენტის წევრის, ნინო წილოსანის ჩართულობა ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია. მისი აზრით, დეპუტატ გიორგი ჩახვამეს დიდი გამოცდილება აქვს ამ კუთხით, რაზეც კოლეგებიც დაეთანხმნენ. საკრებულოს თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა დეპუტატს, რათა მან გაითვალისწინოს ყველაფერი და უმოკლეს ვადაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოამზადოს მთავრობის სახელზე გასაგზავნი წერილი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ დეპუტატების ნაწილისთვის გაურკვეველია ეს საკითხი, მაგრამ გიორგი ჩახვამეს უდავოდ საკმაო გამოცდილება და ცოდნა აქვს ამ კუთხით. დაუშვებელია სატყეო უბნის გაუქმება. ამასთან, ახალი სამსახურის შექმნა დაკავშირებულია ხარჯებთან, რამაც შეიძლება ბიუჯეტს პრობლემები შეუქმნას. დეპუტატი დაინტერესდა, თუ რა მექანიზმი გააჩნია საკრებულოს და რა ღონისძიებას უნდა მიმართოს, რომ უბნის გაუქმება არ მოხდეს.

გიორგი ჩახვამემ განმარტა, რომ აუცილებლად უნდა შედგეს საქმიანი შეხვედრა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, რომელზეც მუნიციპალიტეტის მხრიდან დასაბუთებულად უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ გურიის სამი რეგიონიდან ჩოხატაურისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებზე გაცილებით მეტი რესურსი და ათვისება აქვს ლანჩხუთს. უშუალოდ მის მიერ გაგზავნილია დაახლოებით 32 წერილი პარლამენტის, შესაბამისი კომიტეტის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის თუ სხვათა სახელზე. დეპუტატის თქმით, ახმეტის მუნიციპალიტეტში მუნიციპალურ ტყეებთან დაკავშირებით შექმნილია ა(ა)იპ -ი, რომლის წესდება აერთიანებს საერთაშორისო კანონმდებლობით და ნორმებით გათვალისწინებულ ყველა პუნქტს. გამგებლის, **ზაზა ურუშაძის** თხოვნის საფუძველზე

ანმეტის გამგებელმა გადმოაგზავნა აღნიშნული წესდება, რომლის საფუძველზეც მომზადდა ანალოგიური დოკუმენტი. მასში ყურადღება გამახვილდა მე -6 კატეგორიაზე. ეს არის მრავალმხრივი გამოყენების კატეგორია, რომელიც ყველაზე მეტად არის მუნიციპალიტეტზე მორგებული. ამასთან, საკრებულოს წევრის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ პირველ წელი იქნება გარკვეულ ხარჯთან დაკავშირებული, სწორი მენეჯმენტის გატარების შემთხვევაში, სამომავლოდ გაიზრდება შემოსავალი და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს ტვირთად ნამდვილად არ დააწვება.

დეპუტატი თეიმურაზ ალექსია დაეთანხმა გიორგი ჩახვაძეს და აღნიშნა, რომ თავის დროზე, მუნიციპალიტეტისგან დაუკითხავად გაიცა ლიცენზიები ინერტული მასალების მომპოვებელ კომპანიებზე, რის შედეგადაც პრობლემა შეექმნა ადგილობრივ ბიუჯეტს - შემცირდა მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებისგან.

საკრებულოს თავმჯდომარის, გიორგი ხელაძის აზრით, მიზანშეწონილია შეიქმნას ამ საკითხთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფი, რომელშიც სასურველია ჩაერთონ გამგებლის მოადგილე ნუგზარ ცინცაძე, ასევე გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, დეპუტატები: ელისო ჭიჭინაძე, დავით ჩხარტიშვილი და გოგი მორჩილაძე.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



გიორგი ხელაძე